№ 65

პარასკევი, 24 მარტი 1895

1877—1895

№ 65

პარასკევი, 24 მარტი 1895

# ივერია

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად** უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

„ივერიის“ ტელეფონი№ 227

**იოსებ ივანეს ძე ბექანიშვილი, ივანე** და **ალექსანდრე რაჟდენის ძენი ბექანიშვილები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა პირველი ძმისწულისას და მეორენი ძმისა თვისისას **ნიკოლოზ რაჟდენის ძის ბექანიშვილისას** და სთხოვენ მობრძანდნენ ელისაბედის ქუჩაზედ, წინამძღვრიშვილის სახლებში, საიდგანაც მიცვალებულს გაასვენებენ ნიკოლოზის ეკკლესიაში, დილის 10 საათზედ.

(1—1120—1)

---

[წ]ერა-კითხვის გამავრცელებელის ს[ა]ზოგადოების წიგნის მაღაზიაში ისყიდება:

სურათებიანი ვეფხის ტყაოსანი, გამოცემული გ. ქართველიშვილის მი[ე]რ 10 მანეთად.

საქართველოს ისტორია ვახუშტი [ბ]ატონიშვილისა, გამოცემული დ. [ბ]აქრაძის რედაქციით გ. ქართველი[შ]ვილის მიერ 2 მან., ტფილისს გა[რე]შე დამბარებელმა წიგნის ფასთან [უ]ნდა გასაგზავნის ხარჯის ფულიც [გ]ამოგზავნონ.

(10—6.—1)

## ახალი „საზოგადოება“ უნდა შესდგეს.

რაკი ჩვენს საზოგადოებაში ინიციატივის უნარს აგრე რიგად არავინ [ა]ჩენს, რა გვარი საქმეც უნდა სჩანდეს გასაკეთებლად, ამისათვის ჩვენ [უ]პირველესად უნდა ჯეროვანად თვალ-ყურს ვადევნებდეთ უცხო, გა[ნ]ათლებულის ქვეყნების ცხოვრებას, ვადარებდეთ მას ჩვენს საკუთარს და სისწრაფით გადმოგვქონდეს რაც-კი სასარგებლო და საჭიროა დღეს ჩვენთვის, რათა დღევანდელი ჩვენი დაქვეითებული ცხოვრება გავავუმჯობესოთ, მსოფლიო წინსვლას და პროგრესს არ ჩამოვრჩეთ. ამ ხანად მე უნდა მოგახსენოთ ერთს იმ „საზოგადოებაზედ“, რომელიც შესდგა პარისში და რომლის აზრი გლახამათხოვარა ბავშვების შემცირებაა. ეს აზრი დაებადათ პარისის უნივერსიტეტის პროფესორებსა და სტუდენტებს 1893 წელს თიბათვეში. მაშინვე ამოირჩიეს სამი პროფესორი წესდების შესადგენად. წარსულის წლის 18 ნოემბრიდგან ამ საზოგადოებამ უკვე დაიწყო თავისი მოქმედება.

საზოგადოებას აზრად აქვს ისე იმოქმედოს, რომ მათხოვარა ბავშვები აღარ დადიოდნენ პარისში და ამისათვის მიეცეთ მათ საშუალება ან სახელოსნოში სიარულისა, ან კიდევ სასწავლებელში. საწევრო ფული წლიურად 20 ფრანკია და ერთხნობით შესატანი-კი, სამუდამო წევრად ჩასარიცხავად, 200 ფრანკი. საზოგადოების საქმეს აწარმოებს კომიტეტი, რომელიც 15—25 წევრისაგან შესდგება. საქმის გასაადვილებლად პარისი გაყოფილია ნაწილ-ნაწილად; თითო ნაწილში არის განსაკუთრებული ბიურო, რომელიც იმყოფება თავისის დირექტორის მმართველობის ქვეშ. ყველა წევრნი საზოგადოებისა ვალდებულნი არიან თვალ-ყური უგდონ მათხოვარა ბავშვებს და ყოველივე ცნობანი შეატყობინონ დირექტორებს. ისინი კიდევ ხელმძღვანელობენ იმ წესდებით, რომელიც კომიტეტისაგან არის შედგენილი. ყოველივე ნაწილის, ანუ უბანის დირექტორები, თვეში ერთხელ იკრიბებიან, ადგენენ ღარიბის ბავშვების სიებს, რომლებიც მათ უბნებში არიან და ამ ცნობებს ურდგენენ კომიტეტს. იგინივე აძლევენ შემწეობას ბავშვებს და მათს ოჯახებს და მერე-კი ეს მცირე-წლოვანები ირიცხებიან კომიტეტის მფარველობის ქვეშ.

შეხვდება თუ არა გლახა ბავშვს, ყოველი წევრი ვალდებულია გაიგოს იმისი ვინაობა, წლოვანობა, მისი და ოჯახის საცხოვრებელი ადგილი და ის მიზეზებიც, რამაც გამოიწვია იგი მათხოვრობის გზაზედ. აგრეთვე იგი ვალდებულია ეს შეკრებილი ცნობები აცნობოს დაახლოვებულის უბნის დირექტორს ან პირადად ანუ წერილით, რისთვისაც ყოველსავე წევრს თან დააქვს საფოსტო ბარათი, (ბლანკი). ბავშვი-კი უნდა წაეყვანოს სასწავლებელში, ანუ დაახლოვებულ საქველმოქმედო დაწესებულებაში შემწეობის აღმოსაჩენად. თუ ბავშვი არ მოისურვებს ცნობების წარდგენას, როდესაც მას აუხსნიან შველას, მაშინ მას ეცხადება, რომ დაიჭერენ და დაამწყვდებენ „გამასწორებელ“ სახლში.

ეს ახალი დაწესებულება ბადესავე გადაეფინა მთელს პარისს, წევრების რიცხვს დღითი-დღე ემატება, მეტადრე დიდი ყურადღება მიაქცია ახალმა თაობამ—პარისის უმაღლესი სასწავლებლის მოწაფეებმა—და ის შედეგი მოჰყვა, რომ დღეს გლახა მათხოვარა ბავშვს ვეღარავინ შეჰხვდება.

სწორედ ამ საგანზედ წაუკითხავს ლექცია, როგორც ამ წლის მე-8 ნომერი „ნედელისა“ იუწყება, პროფესორს გერიეს. კაცთ-მოყვარე პროფესორს განუმარტავს მოსკოველ სტუდენტებისათვის დაარსება უბან-უბან „მათხოვართა“ მზრუნველობისა. ლექცია დასრულებულა თუ არა, მრავალი ფული შეუკრებიათ ღარიბებისთვის და წევრებად და თანამშრომლად ჩაწერილა აუარებელი რიცხვი სტუდენტებისა.

ჩვენს დედა-ქალაქში უნივერსიტეტი არ არსებობს და არც პროფესორები და სტუდენტები გვყავს, მაგრამ პარისისა და მოსკოვივით ბევრი გლახა ბავშვები გვყავს, რომლებსაც მფარველობა და მოვლა ეჭირვებათ, რათა მათგან არა „უბადრუკნი“ გამოვიდნენ მომავალში, არამედ სასარგებლო კაცები. ახლა ვის მივანდოთ ეს საქმე, ვინ უნდა იკისროს ამ ფილანტროპიულის აზრის ასრულება. რა საკვირველია, ტფილისის სასწავლებლის მასწავლებლებმა. მათ უნდა შეადგინონ წესდება და ისე იმოქმედონ ჩვენს ქალაქში, როგორადაც ჰმოქმედებენ სტუდენტები და პროფესორები პარისსა და მოსკოვში. დიდს ღვაწლს გაუწევენ სამშობლო დედა-ქალაქს ასეთის კეთილის მოღვაწეობით, და შთამომავლობა ხომ კეთილად მოიგონებს მათს შრომას და წასაბაძად გაიხდის.

მაშ შესდგეს ახალი „საზოგადოება“, რომელსაც გულითა და სულით უნდა დავეხმაროთ ყველა და გზა კეთილი დაულოცოთ.

მზე-ქაბუკი.

# ახალი ამბავი

*** ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობა წრეულს ლოტარეა-ალეგრის ჰმართავს მაისის 7-ს. თუ ამ დღეს ცუდი დარი იქნა, იგი გაიმართება 14 იმავე თვისას. როგორც მოეხსენებათ მკითხველებს, ლოტარეა-ალეგრის შემოსავალი არის ერთი უმთავრესი წყაროთაგანი ხსენებულის საზოგადოების ღონისძიებისა, ამიტომ იმედია, რომ ქართველობა ჩვეულებრივად დაეხმარება ნივთების შეწირვით საზოგადოებას, რომ წრეულაც ისეთივე კარგი ლოტარეა-ალეგრი გაიმართოს, როგორც წინა წლე-

---

# ფელეტონი

## მიბაძვა ნადსონისა.

რაცხან შენ შეხველ მაგ განცხრომაში,
[მ]ას აქეთ, ვგონებ, ცა მოიწმინდა;
წვიმით აღარ წვიმს, მზეც აღარა გვწვამს,
ღმერთმა გვიშველა, დარი დაგვიდგა.

წინად სხვა იყო, ეხლა სულ სხვაა:
[ე]რთგვარად მღერის დიდი პატარა,
[ყ]ველამ იბრუნა ჩვენკენაც პირი,
ყველა ერთგვარად მან გვანეტარა.

ჰე, მეგობარო, ეგ იყო შენი
აღტაცებული აზრთა ტრფიალი;
მ[ა]ღ[ა]ლ[ი], [ი]დ[ე]ალური სჯა და ბაასი,
წმინდა ოცნება და იდიალი?!.

[აწ] თავი მიეცი მყუდრო ცხოვრებას
[დ]ა განცხრომაში ატარებ დღესა,
[ს]აკვდელს შიგნით ტკბილად ჰღიღინებ,
[გ]ედელ გარედამ ბანს გაძლევს კვნესა!

ი. ევდოშვილი.

## [უ]ახლოვესი საფეხური და ინტელიგენციის მოვალეობა.

### I

დიდმა სოციალურმა რეფორმამ, [რ]ომელიც ოც-და-თოთხმეტის წლის წინად მოხდა რუსეთში, ახალი ხანა დაამყარა ამ ქვეყნის ცხოვრებაში. ეს რეფორმა—გლეხთა განთავისუფლება იყო. გლეხები განთავისუფლებულ იყვნენ მიწით—ესე იგი—მებატონეთა მიწა-წყლისერთი ნაწილი მთავრობამ მათგან გამოისყიდა და გარდასცა გლეხთ, რომელნიც ამგვარად საკუთრების პატრონად შეიქმნენ. ის ფული, რომელიც ხაზინამ ჩამორთმეულ მიწის ფასში მებატონეთ მისცა, გლეხებს დიდ-ვადიან ვალად დაედო და ნაწილ-ნაწილ იხდის დღემდისაც (მიწის გამოსყიდვის ფასი, выкупные платежи).

იმ გარემოებამ, რომ გლეხები, განთავისუფლების შემდეგ, უმიწაწყლოდ არ დარჩნენ, დიდი იმედები აღუძრა რუსეთის მაშინდელს ინტელიგენციას. როგორც მკითხველებმა იციან, რუსეთში საერთო მიწათ მფლობელობა არსებობს. ეს და ზემოხსენებული გარემოება საფუძვლად დაედო განათლებულ თაობის იმედებს. ინტელიგენცია ფიქრობდა, რომ ეს ორი გარემოება ხელს შეუშლის კაპიტალიზმის დამყარებას რუსეთშიო. საერთო მიწათ-მფლობელობა და ამგვარივე პრინციპზედ აშენებული მრეწველობა (артельные промыслы, артельное производство) წინააღუდგება ევროპის წარმოების ორგანიზაციას—კაპიტალიზმს და ხალხი, როდესაც გარემოება ხელს შეუწყობს, პირდაპირ კოლექტივურს წეს-წყობილებას შეითვისებსო. ამგვარად რუსეთი თავიდგან აიცილებს კაპიტალისტურს ხანას თავისის მავნებელის თვისებებითაო. მაგრამ რადგანაც კაპიტალს დიდი ძალა აქვსო და მას შეუძლიან გაანადგუროს ჩვენი ეკონომიური წეს-წყობილება, ამიტომ, საჭიროა ინტელიგენცია დაეხმაროს ხალხს და მასთან ერთად ებრძოლოს უცხო ქვეყნის ეკონომიურს ძალასაო. ჩვენის ქვეყნის დედა-ბოძი გლეხობა არისო, უნდა ვეცადოთ გლეხობამ შეირჩინოს თავისი ეკონომიური ორგანიზაცია და რადგანაც იგი საერთო მიწათ-მფლობელობას მისდევს, ინტელიგენციის დახმარებით ადვილად შეითვისებს კოლექტივურს წეს-წყობილებასაო. ამ ეკონომიურს პროგრამას რუსეთის მეცნიერებაც მიეშველა. „ისტორიულ წერილების“ გამოჩენილმა ავტორმა სოციოლოგიაში ეგრედ წოდებული „სუბიექტიური მეთოდი“ შეიტანა. სუბიექტივიზმის მოძღვრებით მტკიცდებოდა, რომ „კრიტიკულად განვითარებულმა კაცმა“ თუ დაინახა რომ ესა და ეს საზოგადოებრივი მოვლენა მავნებელია, მაშინ ის ამ მოვლენას ბრძოლას უცხადებს და იმგვარ გზაზედ დააყენებს ცხოვრებასაო, რა გზასაც საუკეთესოდ იცნობსო.

წაქეზებული მეცნიერებით და აღჭურვილი იმედებით რუსის ახალგაზდობა „წავიდა ხალხში“ თავისს მშვენიერის იდეალის საქადაგებლად. მაგრამ აქ მას წინ გადაეღობა გარეშე ძალა... მაშინ ახალგაზდობა ამ ძალასთანაც გამოვიდა საბრძოლველად, მაგრამ ყოველი ცდა ამაოდ დარჩა...

სანამ ინტელიგენცია სხვა-და-სხვა გზით და საშუალებით ჰფიქრობდა თავისი დახმარება აღმოეჩინა ხალხისათვის და საშუალებათა ცდაში იყო, ცხოვრება თავისის გზით მიდიოდა. კაპიტალიზმმა გზა გაიკაფა და დაიწყო რუსის ხალხის პატრიარქალურის წეს-წყობილების დარღვევა. მთავრობა არავითარს ღონისძიებას არ ზოგავდა კაპიტალისტურის წეს-წყობილების მკვიდრს ნიადაგზედ დასამყარებლად.

სამწუხაროდ, ხელთ არა გვაქვს საჭირო მასალა და სტატისტიკური ცნობები, რომელთ ამოწერა დაგვანახვებდა, თუ როგორ იზარდა კაპიტალიზმი ამ 30 წლის განმავლობაში. „ნაროდნიკების“ ეკონომისტი ბ-ნი ვ. ვ., რომელმაც ბევრი შრომა გასწია იმის დასამტკიცებლად, რომ კაპიტალიზმი ვერ იხეირებს რუსეთში, თვით იძულებული შეიქნა ეთქვა, რომ ამ წეს-წყობილებამ საკმაოდ დიდი ნაბიჯი გადადგა რუსეთში. ამის გარდა მრავალი მასალა შეგროვდა ახლა, რომელიც უტყუარად ამტკიცებს, რომ რუსეთის ეკონომიური დედა-ბოძი—საერთო მიწათ-მფლობელობა—ვერ გაუმაგრდა კაპიტალის ძალას და დღითი-დღე იშლება.

მიუხედავად ფაქტებისა რუსეთის „ნაროდნიკები“ და მათი „ფილოსოფოსები“ ერთხელვე დაჭერილს პოზიციას არ სტოვებენ. შარშან დასტამბულს წიგნში „Наши направленія“ ბ-ნი ვ. ვ. ისევ იმ შეხედულებისა და აზრისაა რუსეთის ცხოვრების შესახებ, რომელიც მან მესამოც-და-ათე წლებში დაგვიხატა თხზულებაში „Судьбы капитализма въ Россіи“. ამ ჟამად რუსულს მწერლობაში დიდი პოლემიკაა გამართული ამ საგნების შესახებ. „ნაროდნიკების“ საწინააღმდეგო ლიტერატურაში დიდის ყურადღების ღირსია ბ. სტრუვეს წიგნი, რომელიც ნამდვილად უსურათებს მკითხველს კაპიტალიზმის ზრდას რუსეთში. საჭიროა მოვიხსენიოთ აქ, რომ რუსეთის ახალგაზდობის მოწინავე რაზმში ეს განხეთქილება კარგა ხანია ჩამოვარდა, მას აქეთ, რაც ათის წლის წინად ვალენტინოვმა*) გაარჩია „ნაროდნიკების“ და მათ მიმდევარ დასი პროგრამა.

ამგვარად კაპიტალიზმმა ფეხი

*) უწინდელი ფსევდონიმია.

ბში ყოფილა. ლოტარეა-ალეგრისთვის ნივთები უნდა გაეგზავნოს კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძისას, ნიკოლოზის ქუჩ., სახლი № 21.

⁂ ამიერ-კავკასიის რკინის გზათა უფროსი ბ-ნი პუშეჩნიკოვი, რომელიც ყარსის რკინის გზის საქმეების გამო პეტერბურგს იყო, გუშინ-წინ, ოც-და-ორს მარტს, ტფილისში დაბრუნდა. როგორც გადმოგვცეს, ყარსის რკინის გზა ბ-ნის პუშეჩნიკოვის ზედამხედველობით გაკეთდება და ამავე დროს ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსადაც იქნება.

⁂ დღევანდელს ნომერთან ზოგიერთს ხელის-მომწერლებს ურიგდებათ „ქართულ საქველ-მოქმედო საზოგადოების“ წესდების პროექტი. ამგვარი პროექტი, ბ.ბ. ჯაბადარისა, ინასარიძისა და სტუდენტებისაგან შედგენილი უკვე დარიგებულია ჩვენს საზოგადოებაში, და რადგანაც ყველა ამ პროექტებს ერთი და იგივე აზრი და დანიშნულება აქვს, კარგი იქმნება ყველა ერთად იქმნეს განხილული იმ კრებაზედ, რომელიც ახლო მომავალში იქნება დანიშნული და ამ პროექტების მიხედვით ერთი საზოგადოება შესდგეს.

⁂ კავკასიის მთავარ-მართებლის სასახლეში 23 მარტიდგან დაიწყო გამოფენა და ვაჭრობა ტფილისის საქველ-მოქმედო საზოგადოების სასწავლებლის მოსწავლეთა ხელსაქმისა. ამ ვაჭრობიდგან შემოსული ფული ხსენებულის სასწავლებლისავე სასარგებლოდ იქმნება გადადებული.

⁂ გაზეთების სიტყვით, რადგანაც იმიერ-კავკასიის სამხრეთ საზღვარზედ ავაზაკობა ძალიან ხშირად ხდება ხოლმე, მთავრობას განზრახვა აქვს რამდენიმე ასი ყაზახის ოჯახი დაასახლოს, რომელთაც უსასყიდლოდ დაეთმობათ ადგილები მთელის საზღვრის სიგრძეზედ.

⁂ კავკასიის მთავარ მართებლის საბჭოში შემუშავებული წესდება იმის შესახებ, რომ კავკასიაში მცხოვრებ მაჰმადიანებს ჯარში გასვლის მაგიერ ფულით გამოერიცხვათ გარდასახადიო, ბ-ნ შინაგან საქმეთა მინისტრს წარუდგინა განსახილველად. („ტფ. ფურ.“)

⁂ გაზეთ „ნოვ. ვრემიას“ სიტყვით საფრანგეთის ზოგიერთი კაპიტალისტები შუამდგომლობენ სტამბოლში, რათა ნება დაერთოთ იერუსალიმში რკინის გზის გაყვანისა. ეს რკინის გზა გაივლის პალესტინაზედ, მცირე აზიას და კავკასიამდე მოვა. სულ ბოლო სადგური ქ. ყარსი იქნებაო.

⁂ დოლი და ცხენების გამოფენა დანიშნულია აღდგომის შემდეგ აპრილის შუა რიცხვებში.

⁂ ჩვენ გვთხოვენ ყურადღება მივაქციოთ, ვისიც ჯერ არს, რომ ობოლთა სასამართლოში ამ ბოლოს დროს შემოუღიათ ახალი წესი, რომლითაც გარდასახადს ართმევენ ყოველ საბუთის ასლის აღებისათვის. სულ უბრალო და უმნიშვნელო პაწია ქაღალდიც რომ იყოს, ათს შაურს ახდევინებენ, რაც ძლიერ სამძიმოა ღარიბის ხალხისათვის. აქამდე ასეთი გარდასახადი სულ არ არსებობდა და სასურველია, რომ არც ეხლა ერთმეოდეთ ღარიბებს.

⁂ ქალაქის მოურავის თანამდებობაზედ კანდიდატებად ასახელებენ თავ. არღუთინსკი-დოლგორუკოვსა და ბ-ნს მატინოვს, ტფილის ქალაქის მოურავად უკვე ნამყოფთ, და აგრეთვე ბ-ნთ ევანგულოვსა, ალიხანოვსა და მ. თამამშევს.

⁂ ამიერ-კავკასიის რკინის გზის სტატისტიკიდგანა სჩანს, რომ გასულის 1894 წლის განმავლობაში ამ გზაზედ სულ 1234 უბედურება მომხდარა.

⁂ მტკვარს ამ უკანასკნელს ღამეს ძალიან ემატა წყალი. ბორანთან დიდი მოედანი და მადათოვის კუნძულიდგან უშველებელი ადგილი მოირღვა. გუშინ წყალმა ჩამოატარა დიდ-ძალი ხეები და ჯაგები. ბ-ნმა პოლიცმეისტერმა ბრძანება მისცა პოლიციის ბოქაულებს, წყლის ნაპირას პოლიციის მოხელენი დააყენეთ და შეატყონ თუ არა მათ შიში რიყის წალეკისა, მაშინვე მაცნობეთ და აგრეთვე რიყის მცხოვრებლებსაცაო.

⁂ პეტერბურგიდგან დეპეშით ატყობინებენ გაზეთ ,,ნოვოე ობოზრენიეს‘‘, რომ ,,საფილოქსერო კრებამ უარ-ჰყო ქუთაისში საფილოქსერო სადგურის აგება სამაგიეროდ დაადგინა გაადიდოს საქარის სამყნობი. საქართველოში ფილოქსერასთან საბრძოლველად გადაიდო 91,500 მანეთი. უკანასკნელი კრება 24 მარტს იქმნებაო‘‘.

⁂ „წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას შემოსწირეს: 1, თ. რაფიელ დავითის ძემ ერისთავმა: გაზეთი „ივერია“ 1894 წ., გაზეთი „კვალი“ 1894 წ., გუნიას „საქართველოს კალენდარი“ 1895 წლისა, თხზულებანი თ. რ. ერისთავისა, ახალი გამოცემა, ,,Извѣстія Кавказ. Отд. Имп. Рус. Геогр. Общества‘‘, т. X. № 1 და ,,Записки Кавк. Отд. Имп. Рус. Геогр. Общества, книжка XVI. 2, მოსე გიორგის ძემ ჯანაშვილმა—მის მიერ გამოცემული წიგნები: „აღვადგინე“ 91 ცალი და საუნჯე X საუკუნისა“ 32 ცალი და 3, იორდანე გიორგის ძემ სიხარულიძემ—ექვსი მანეთი. გამგეობა დიდს მადლობას უძღვნის შემომწირველთ.

⁂ 11 თებერვალს ამ წლისა ქ. ზაქათალაში გამართულ იქმნა წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სასარგებლოდ ამ საზოგადოების დამხმარებელის წევრის ქ-ნის ქეთევან ნიკოლოზის ასულის მერკულოვის თაოსნობით სალიტერატურო და სამუსიკო საღამო. შემოსავალი იყო 95 მ. 40 კ., ხარჯი—20 მ. 40 კ. დარჩა წმინდა შემოსავალი 75 მ., რომელიც საზოგადოების გამგეობამ მიიღო უკვე. გამგეობა დიდს მადლობას სწირავს ქ-ნს ქ. ნ. მერკულოვისას ხსენებულის საღამოს გამართვისათვის.

⁂ ევლახი: 21 მარტს მე-516 ვერსზედ სადარაჯოში დარაჯი საფარ-ალი ჯარალ-ოღლი მოკლული ნახეს. ჯერ არ იციან მკვლელი ვინ არის. მოკლულს ხანჯალი თავში აქვს დარტყმული.

⁂ ს. შემოქმედი, (ოზურგეთის მაზრა): კვირას, ამა თვის 19, უკანასკნელად სწირა მ. არხიმანდრიტმა ამბროსიმ შემოქმედის მონასტერში. წირვას დიდ-ძალი ხალხი დაესწრო. წირვის შემდეგ მ. ა. ჩვეულებრივ უქადაგა ხალხს და მერმე წარმოსთქვა გამოსათხოვი ფრიად საგრძნობელი სიტყვა: მრევლის მხრივ სიტყვა უთხრეს მ. ა. დუმბაძემ და ხ. ჩხატარაიშვილმა. ეს სიტყვები ისეთი საგრძნობელი იყო, რომ წარმოთქმის დროს ვერ შეიმაგრეს ცრემლები ვერც მ. ა. და ვერც ხალხმა. ვისურვებთ, რომ მ. იონა არხიმანდრიტმა, მისმა მოადგილემ, დაიმსახუროს ხალხში ამგვარივე სიყვარული და პატივის-ცემა.

⁂ ბორჯომი: ახლად გაყვანილს რკინის გზის შტოზედ, ბორჯომის მახლობლად, რკინის ხიდს აკეთებდნენ, მაგრამ მტკვარი ადიდდა და მოიტაცა. ზარალი სამას თუმანს უდრის.

⁂ ქ. ახალ სენაკი: როგორც მოგეხსენებათ, ახალ-სენაკშიაც შემოიღეს კვირა-უქმე დღეებში დუქნების დაკეტვა. ეს კეთილი განკარგულება პოლიციისა ცოტა ხანს კარგად მიდიოდა და საბრალო ნოქრებს შეეძლოთ წირვა-ლოცვა მოესმინათ. სამწუხაროდ, ამ საქმეს წინა აღუდგნენ ებრაელები, რადგანაც ისინი შაბათს უქმობენ. ამას წინა ბ-ნმა პოლიციის ბოქაულმა რამდენისამე ებრაელს ოქმი შეუდგინა, რადგანაც ისინი ჩუმ-ჩუმად ვაჭრობდნენ. იმედია, პოლიციის ბოქაული ოქმს ძალაში შეიყვანს და ერთხელ და სამუდამოდ მოსპობს კანონის მოწინააღმდეგის მოქმედებას, რათა იმათ მაგალითს სხვებმაც არ მიჰბაძონ...

⁂ დ. აბაშა: სწორედ საშინლად შეგვაწუხა ამ უგზოობამ. ლამის ტალახში დავირჩოთ. ჩვენს პატარა ქალაქს ახვევია ოთხი-ათასამდე მცხოვრები, რომელნიც ამ ქალაქიდგან პოულობენ საშუალებას, გაჰყიდონ და იყიდონ. ისეთი დაცემული ოჯახი როგორ იქნება, ორასი ან სამასი ფუთი სიმინდი არ ჰქონდეს გასასყიდი, მაგრამ ხელ-დაკრებილნი დასცქერიან მორევებათ გადაქცეულს გზებს და ვერ ჩამოუტანიათ სიმინდი. ნეტა როდის ვეღირსებით რიგიან გზებს?!

⁂ ს. თეკლათი. თებერვლის უკანასკნელს რიცხვებში აქ ერთი სამწუხარო ამბავი მოხდა. ერთმა ამ სოფლის მცხოვრებმა ქმრიანმა ქალმა თავი მოიკლა. მიზეზი ამ სამწუხარო მოვლენისა ისა ყოფილა, რომ ქმარი უსაყვედურებდა ქალს, რადგან იგი გულ-ცივად ეპყრობოდა ოჯახს. ამის გამო ცოლ ქმარს შუა ხშირად ლაპარაკი იმართებოდა. ქა

---

მოიკიდა რუსეთის ნიადაგზედ და რაკი ეს მოხდა ახლა შეუძლებელია ჩარხი უკან დატრიალდეს. ის გარემოებანი, რომელზედაც ამყარებენ «ნაროდნიკები» თავისს იმედებს, ვერ უშველიან რუსეთს; მაგრამ ის-კი უნდა ვსთქვათ, რომ, ჩვენის ფიქრით, მათი არსებობა თვალსაჩინოდ აფერხებს და უძნელებს კაპიტალს თავისს მოქმედებას.

როგორც ვიცით ეკონომიური ორგანიზაცია, ერის წარმოებითი ძალა, ის საძირკველია, რომელზედაც შენდება პოლიტიკური, იურიდიული და სხვა მხარე ერის ცხოვრებისა; ამა თუ იმ ეკონომიურს ფორმას უდრის ესა თუ ის პოლიტიკური წეს-წყობილება. ავიღოთ და ამ მხრით განვიხილოთ გაკვრით რუსეთის ახლანდელი ცხოვრება; უკეთ ვსთქვათ, შევხედოთ-რა ურთიერთობა ჰსუფევს საზოგადოებრივ ელემენტთა და „ზედშენობის“ (надстройка) შორის? საჭირო მიზეზის გამო ამ საგანს აქ ვერ განვიხილავთ ისეთის სავსებით, როგორსაც იგი მოითხოვს.

რუსეთის საეკონომიო და საფინანსო პოლიტიკა, როგორც უკვე აღიარებულია რუსულს მწერლობაში, არ არის მტკიცედ ერთს გზაზედ, ერთს მიმართულებაზედ დამყარებული. საფინანსო და საეკონომიო კანონები ხშირად ერთი-ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან. საზოგადო ხასიათი ამ პოლიტიკისა ის არის, რომ მას სახეში აქვს მხოლოდ ხაზინის, „ფისკის“ ინტერესები. ავიღოთ მაგალითი. ნავთის მრეწველობის აღორძინებისათვის ბევრი ფული და მეცადინეობა გასწია მთავრობამ. ამ მრეწველობამ ფეხი მოიდგა იმდენად, რომ ამერიკის ნავთის საშიშ მეტოქად შეიქნა. კაპიტალისტური ინტერესი თხოულობდა, ამ საქმეში მრეწველთ სრული თავისუფლება ჰქონოდათ; მათ საქმეში არ გარეულიყვნენ, სანამ ნავთით ვაჭრობა მკვიდრ ნიადაგზედ დადგებოდა—ესე იგი—მოიპოვებოდა ბაზარს და თან-და-თან ზრდაში შევიდოდა. მაგრამ ნავთს მალე ისეთი დიდი ბაჟი დაედო, რომ მრეწველ-ვაჭრებმა კონკურენციას ვერ გაუძლეს და დადგა კრიზისი...*) მეორე მაგალითი. მსოფლიო ბაზარი წარჩინებულ ერთა ხელშია. მათთან კონკურენცია ძლიერ ძნელია და ეს აფერხებს კაპიტალიზმის წინმსვლელობას. მსოფლიო ბაზრის მაგიერ რუსეთის მრეწველობას ვეებერთელა შინაური ბაზარი აქვს, მაგრამ აუარებელი გარდასახადი, რომელიც აწევს გლეხობას კისერზედ, შეუძლებლად ჰყოფს, რომ ამ ელემენტმა შეიძინოს საკმაო სასყიდელი ძალა (покупательная сила). მესამე მაგალითი. თავად-აზნაურობის საკეთილდღეოთ მათს ბანკს სხვა-და-სხვა დახმარებას უჩენენ. სხვათა შორის, ბანკის თანხის მისაშველებლად სახელმწიფო ბანკმა უნდა მიაწოდოს ფული; სახელმწიფო ბანკის დანაკლისის შესავსებლად-კი გლეხობას გარდასახადი უნდა მიემატოს; ამ რიგად ამ წოდების სასყიდელი ძალა სუსტდება, რაითაც ბრკოლდება კაპიტალიზმის ზრდა, და სხვა-და სხვა. გლეხკაცობის განთავისუფლების შემდეგ ერის წარმოებით ძალებმა (производительныя силы) ახალი მიმართულება მიიღეს, მაგრამ მათს განვითარებას ხელს უშლის განხილული გარემოება.

*) ჩვენთვის აქ საჭირო არ არის და ამიტომ ნავთის კრიზისის სხვა მიზეზებს აქ არ ვეხებით.

კაპიტალიზმის ზრდას თან მოსდევს პროლეტარიატის ზრდა პროლეტარიატი ის ელემენტია, რომელმაც უნდა ააგოს მომავალი შენობა. კაპიტალისტური წეს-წყობილება თვით თავის ევოლიუციით ითხრის სამარეს და უკაფავს გზას მომავალს. დამყარებული კერძო საკუთრებაზედ კაპიტალიზმი იმავე დროს სცოცხლობს მხოლოდ იმითი, რომ ართმევს უმრავლესობას კერძო საკუთრებას. მაგრამ იმისთვის, რომ პროლეტარიატმა თავისი დანიშნულება სავსებით შეასრულოს საჭიროა მასში თვით-მცნობლობა აღიძრას. გარდა ამისა კაპიტალიზმის ევოლიუციის დროს უმრავლესობა იჩაგრება, ხოლო ინტელიგენციის მოვალეობაა გაუადვილოს ჩაგრულთ დღის ვარამი და გაუადვილოს მომავლის „მშობელს ტკივილები“. მაგრამ ამგვარის ბრძოლისათვის საჭიროა უფრო ფართო კალაპოტი, ვინემ ახლა არსებობს რუსეთში. ამას დამტკიცება არ სჭირია: ვინც დაახლოვებით მაინც იცის რუსეთის უკანასკნელი 25—30 წლის ისტორია, მას მაგალითებიც თვალთ-წინ ექნება.

მაშასადამე ბურჟუაზიის ლიბერალთ, ,,ნაროდნიკებს‘‘ და მარქსისტებს ერთი და იგივე „ზედშენობა‘‘ წინ ეღობება. ამგვარად რუსეთის ინტელიგენცია უბრუნდება კვლავ მეოთხმოცე წლების პრაქტიკულს პროგრამას. ეს ერთ-პარტიობა იმას-კი არ ნიშნავს, რომ რუსეთში ნიადაგი არ იყოს სხვა-და-სხვა დასების არსებობისათვის, არამედ იმას რომ ამ ნიადაგზედ შესაფერისი მოღვაწეობა გარემოების ძალით შეუძლებელია.

უეჭველია ეკონომიური ევოლიუციის განგრძობა ოდესმე უკუაგდებს ,,დამაბრკოლებელს გარემოებას‘‘ მაგრამ ,,სანამ პეტრე მოვიდაო, პავლეს ტყავი გააძრესო‘‘. მეორეს მხრით ის იმედი, ვითომც ,,ზედშენობა‘‘ თავის ნებით შესცვლის გარემოებას, ცხადია—ოცნების ნაყოფია და რუსეთის ცხოვრების სინამდვილესთან არავითარი კავშირი არა აქვს.

რაც შეეხება მას-თუ რა საშუალებას უნდა მიჰმართოს შეერთებულ ინტელიგენციამ, ამ საგანს, როგორც მკითხველი მიმხვდარია, აქ ვერ შევეხებით.

ამგვარად „ნაროდნიკების“ და მათი მიმდევარ დასის, ერთის მხრით, და მარქსისტების მეორეს მხრით, დავაში, ჩვენის ფიქრით, მართალნი ისტორიული მატერიალიზმის მიმდევარნი არიან. ამას გვიმტკიცებს რუსეთის დღევანდელის ეკონომიური მდგომარეობის განხილვა. რადგან რუსეთი უკვე დადგა ევროპის გზაზედ, ფიქრი იმის შესახებ, რომ ვითომ ვინმეს შეუძლიან ამ გზას გადაახვევინოს, მხოლოდ ოცნება იქნება და როგორც ყოველი ოცნება ცხოვრებასთან პირველ შეტაკებაშივე განქრება. ეს ერთი. მეორე დასკვნა, რომელსაც დღეს ჩვენ დავადექით ის არის, რომ „გარეშე გარემოებანი“ სრულიად შეუძლებლად ხდიან საზოგადოებრივ ელემენტების შეგნებულ მოღვაწეობას. აი, ეს უკანასკნელი მდგომარეობა აერთებს დღეს რუსეთის პარტიებს და ამ მხრით კანონიერი იქნება ვსთქვათ, რომ დღეს [illegible]ნებრივს მოთხოვნილებას არ შე[illegible]გენს რუსეთის დასებად დაყოფა და სხვა-და-სხვა პროგრამის არსებობა.

შემდეგს წერილში განვიხილოთ საგანი საქართველოს აწმყოს მდგომარეობის მიხედვით.

ლალი.

ლმა ეს ლაპარაკი და დარიგება იუკადრისა და ერთს დღეს, როცა თავისუფლება იგდო ხელში, დამბაჩით თავი მოიკლა.

*** გუშინ, 23 მარტს, ვორონცოვის ქუჩაზედ სპარსეთის ქვეშევრდომმა მაჰმად ფარაჯა-ოღლიმ ჩხუბის დროს ბებუთი იძრო და მძიმედ დასჭრა მეპურე სპარსეთის ქვეშევრდომივე მირზა ალი-ყული-ოღლი ოთხს ალაგას. ორი მძიმე ჭრილობა გულში აქვს, ერთი ფერდში და ერთიც ხელში. დაჭრილი საავადმყოფოში გაგზავნეს და დამნაშავე შეიპყრეს.

## კორესპონდენცია.

**ფრონის ხეობა.** თითქმის ოცდა-ათზედ მეტი სოფელია გაშენებული მდ. ფრონის ნაპირებზედ და უნდა მოგახსენოთ, რომ მშვენიერი და ნოყიერი მამულებიცაა ამ ხეობაზედ. აქაური მცხოვრებნი, რიცხვით ათაი სამასს კომლამდე, მისდევენ ხვნა-თესვას და მევენახეობას; მევენახეობას უფრო ქართველი გლეხობა ეტანება, თუმცა-კი შიგა-და-შიგ ოსებმაც დაიწყეს ვენახის გაშენება. ღვინო კარგი დგება, თუ რომ ვენახის პატრონმა ხელი შეუწყო და რიგიანად მოუარა. სამწუხარო მხოლოდ ეს არის, რომ აქაურს ღვინოს ბაზარი არა აქვს და რაც მოდის, აქვე ისმება, უფრო-კი მოგზაურნი მიაქვთ, რომლებიც უმთავრესად ჩარჩები არიან.

ჩვენის გლეხ-კაცობის დაქვეითებას სასწავლებლის უქონლობაც ხელს უწყობს. მთელის ფრონის ხეობაზედ ერთი სასწავლებელი არ მოიპოვება. ყოველ მხრიდგან ისმის, რომ ამა-და-ამ სოფელში სკოლა არსდებაო, ამა-და-ამ ადგილს სამკითხველო იხსნებაო და ჩვენ-კი არც სკოლა, არც სამკითხველო; რად უნდა იყოს ფრონის ხეობა ასე დაქვეითებული, როდესაც ამ ხეობას რკინის გზა ახლო აქვს, მისვლა-მოსვლა გახშირებულია, ინტელიგენცია (ცოტა მაინც) ჰყავს? რა მიზეზია, რომ თითქმის ათას სამას კომლს ერთი უბრალო სამრევლო სკოლა არა აქვს?

ამის პასუხად მარტო ის ითქმის, რომ გლეხ-კაცს არ ესმის სწავლის დიდი მნიშვნელობა და ჩამგონებელი-კი არა ჰყავს, პირიქით ხელსაცკი უშლიან. მაგალითად, ნუ თუ აქაური თავად-აზნაურები მოვალე არ არიან გლეხკაცობა დაარიგონ, სწორე გზა მისცენ და ჩააგონონ, რომ აუცილებლად საჭიროა მათთვის სკოლა, აგრეთვე, როგორც უფრო შემძლეთ, შემწეობა აღმოუჩინონ მატერიალურად.

დრო არის აქაურებიც გაერიონ ხალხში, დრო არის აქაურებმაც იზრუნონ თავიანთ სწავლა-განვითარებაზედ, დრო არის გამოფხიზლებისა. საქმეს დაგვიანება აღარ ეჭირვება.

—

ერთი სასიამოვნო წადილი უსრულდებათ აქაურს მცხოვრებლებს, ქვაფენილი გზა გაჰყავთ თერეგვნიდგან ვიდრე სად. გომამდის. შარშან შემოდგომაზედ დაიწყეს და იმედია, რომ ამ ზაფხულს გაათავონ. ეს გზის დაწყობილობა თავ. ალ. ყალ. საქმე გახლდათ; აგრეთვე ოქონის მამასახლისიც ცდილობს, რომ ჩქარა დაასრულებინოს აქაურ გლეხობას, რადგან თვით ამას აქვს მინდობილი ადგილობრივ ადმინისტრაციისაგან. მაგრამ ზოგ-ზოგი აქაური მებატონენი შემწეობას არ აძლევენ გზის გაყვანისას, ე. ი. გზისთვის ადგილს არ უთმობენ. წარმოიდგინეთ, როდესაც მებატონე ხელს არ უწყობს, რა ჰქნას გაუგებელმა საწყალმა გლეხმა? მის მაგიერ გლეხი მოწადინებულია, რომ ჩქარა დაასრულოს გზის კეთება და მუშების საერთო საქმისათვის. ჩვენ-კი, მებატონენი, შეწევნის მაგიერად ადგილს არ ვუთმობთ ერთი მტკაველი ტალახის გულისათვის. სწორედ რომ სამწუხაროა, ვისაც არ ესმის საერთო და საზოგადო საქმე.

დ—კო

—

**ქავქავი.** კვირას, ცხრამეტს მარტს, პატივცემულის ქნ ე. ი. ჭიჭინაძის თაოსნობით კავკავის თეატრში გაიმართა ქართული წარმოდგენა, წარმოადგინეს სამ-მოქმედებიანი კომედია ა. ცაგარლისა: „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ და ვოდევილი „ადვოკატთან“ გადმოკეთებული ვ. გუნიას-მიერ. წარმოდგენას აუარებელი ხალხი დაესწრო, ასე რომ თავისუფალი ადგილი თეატრის დარბაზში სრულიად არ მოიპოვებოდა. დიდიხანია, რაც კავკაველ ქართველებს არ გვინახავს ქართული წარმოდგენა და ამიტომ, შეუდგნენ წარმოდგენის გამართვას თუ არა, ყველა აქაური ქართველი დიდის აღტაცებით და სიხარულით მოელოდა წარმოდგენას, დანიშნულს დღეს. წარმოდგენა გამართული იმქნა, რასაკვირველია, საქველ-მოქმედო აზრით — მთელი შემოსავალი დანიშნული იყო კავკავის ქართულ სკოლის სასარგებლოდ. წარმოდგენას ქართველების გარდა, სომხობაც დაესწრო. წარმოდგენის დროს შენიშნავდით აგრეთვე რამდენიმე უცხო ტომის ქალსა და კაცსაც. წარმოდგენის დროს რეჟისორად იყო არჩეული ბ-ნი გ. ვეზირიშვილი. სცენაზედ მოთამაშენი კომედიაში: ალ. პეტ. სარაჯიშვილი (ავეტიქა), ნ. ი. მაჭავარიანი (დავით მებატონე), თ. ჯორჯაძისა (ორომსე) ელ. სოლ. გვარამაძისა (კატინა), ა. კარგარეთელი (ლიზა), ვ. ჩითაშვილი (გიჟუა), ტ. ბ. კახიძე (არტემ ივანიჩი), ლ. გ. ხარაძე (ზაქარია), ლ. ბოცვაძე (მოურავი), ი. ლორთქიფანიძე (კოხტაია), მამუჩაშვილი (ხაჭუა), ი. სიდამონოვ-ერისთავი (ფიჩხულა), ვაჩინაძისა, ბარათაშვილისა და ბირშერტ—(სოფლის გოგოები), თოფაძე (ილუა).

საზოგადოდ მოთამაშეთ ეტყობოდათ, რომ საქმისთვის ძალიან სინიდისიერად მოეკიდნათ ხელი და თავიანთი როლები ზედ-მიწევნით შეესწავლათ, რის გამოც წარმოდგენამ მშვენივრად ჩაიარა; ხალხი ფრიად ნასიამოვნები დარჩა და ყველანი ტაშის ცემით და ვაშას ძახილით დააჯილდოვა. ხალხი აღტაცებაში მოიყვანეს მეტადრე ა. სარაჯიშვილმა და ჩითაშვილმა, რომელთაც საუცხოვოდ და ნიჭიერად შეასრულეს თავისი როლები. ა. კარგარეთლისამ ნამდვილი გლეხის გოგო დაგვიხატა თვალ წინ თავისის მიხვრა-მოხვრით, ქცევით და ცეკვით.

ვოდევილში მონაწილეობას იღებდნენ: ალ. პ. სარაჯიშვილი (ადვოკატი), ელ. სოლ. გვარამაძისა (ნაზიანისა), თ. ჯორჯაძისა (ანჩხლაძისა), ი. სიდამონოვ-ერისთავი, მაჭავარიანი, მამუჩაშვილი, ჩითაშვილი და ხარაძე.

ბ-ნმა მაჭავარიანმა მშვენიერად დაგვიხატა თავის-ნება-ჭირვეული თავადი. სიდამონ-ერისთავმა კარგად შეასრულა ფიჩხულას და პეტრე ანჩხლაძის როლები. მშვენიერად დაგვიხატა გლეხის ქვრივი დედა-კაცი კატინა და ვოდევილში ნაზიანისა ე. ს. გვარამაძისამ, რომელსაც წინად ხელოვნურად შეესრულებინა თალიკოს როლი ახალგაზრდა ჩვიდმეტის წლის ქალისა, ეხლა კი დაგვიყენა თვალ-წინ მოხუცებული გლეხის დედაკაცი. თ. ი. ჯორჯაძის ასულმა კარგად აასრულა ანჩხლაძის ქალის როლი, რომელსაც შესაფერად ეჭირა სცენაზედ თავი.

იმედია, კიდევ მალე აღირსებენ აქაურს ქართველობას სამშობლო ენაზედ წარმოდგენას..

სასწავლებელს, როგორც გავიგე, ნაღდათ დარჩა 400 მანეთზედ ცოტა მეტი

მადლობის ღირსნი არიან აქაური მანდილოსნები და იმედია სხვა გზითაც მისცემენ ნივთიერად შემწეობას.

ი. ვასილიშვილი.

—

**სოფ. თეკლათი,** (სენაკის მაზრა). სოფ. თეკლათში და აგრეთვე მის ახლო-მახლო სოფლებში მარტამდის სულ კარგი დარები იდგა. ასე წარმოიდგინეთ, იანვარში უმეტესი ნაწილი ხეხილებისა თითქმის აღყვავდა. ღრმად მოხუცებულები ამბობდნენ, ასეთს კარგს ამინდებს ზამთარში ჩვენს სიცოცხლეში პირველად ვხედავთო, მაგრამ დადგა თუ არა მარტი, ისე გააცივა ჰაერი, რომ თვისის გიჟმაჟ დღეებით ყველას და ყოველს ძაგძაგი დააწყებინა. მარტის 10—11 (ცოტაოდენი თოვლი მოვიდა და ოდნავ დაჰფარა მთა-ველი. იანვრის და თებერვლის სითბოებისაგან უდროოდ გაშლილნი ხეხილები და ყვავილები მარტის უზომო სიცივეებმა ერთობ გააფუჭა. რა თქმა უნდა, ვაზსაც ზიანს მისცემდა...

აქაურების ერთად-ერთ დღიურ სალაპარაკოდ გახლდათ სამინდის ფასის დაცემა, რომელმაც დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ხალხში წოდების განურჩევლად. სიმინდის მაზანდის დაწევას ესენი (ღმერთო, ნუ მიწყენ!) სენაკელ ბერძნებს აბრალებდნენ, რადგანაც ამათ ხელშია სიმინდის ფასის აწევ-დაწევა. მაგრამ მადლობა ღმერთს, დღეს ორ აბაზზედ ცოტა მეტად ყიდულობენ ახალ-სენაკში მოტანილს სიმინდს ჩვენი ბერძნები და ამათი „აგენტები“.

თეკლათელები საშინლად შეწუხებულნი არიან უგზოობის გამო. აქაური შარა-გზები ისეთი ჯოჯოხეთური სამგზავროა, ვგონებთ, ამისი ბადალი არსად არ უნდა იყოს. ზემო თეკლათში ისეა გაფუჭებული გზები, რომ დღე ერთი და მარცხი-კი ასი ათასი, ვინ მოსთვლის. რამდენი სული საქონელი დაღუპულა ამ გზაზედ და რამდენი კაცი ატირებულა და ცხარე ცრემლები უფრქვევია თვალთაგან ხსენებულს გზას, აწ უკვე განსვენებულმა მაზრის უფროსმა ბებური—ლმა მიაქცია თვისი ყურადღება და გვარიანად შეაკეთებინა, მაგრამ დღეს უარესად გაფუჭდა, მით უფრო, რომ ამ გზით დიდძალი სიმინდი მოაქვთ ურმებითა და ცხენებით ახალ სენაკში. იმედია სენაკის ახალი მაზრის უფროსი ბ-ნი ქავთარაძე, როგორც სხვა საქმეშიაც, აქაც თავისს განსაკუთრებითს ყურადღებას მიაქცევს სოფ. ზემო-თეკლათის გზებს, სადაც ყოველ დღე ერთი ვაივაგლახი და უბედურება ხდება...

ტრიფონ. კალანდარიშვილი.

21 მარტი.

## სომხები ქ. ნანსში.

—

მგონი, რომ იმ პატარა ხალხთაგანს ისე არავის აქვს შეგნებული და ესე გატაცებით არავინ ეტანება დასავლეთის ევროპის განათლებას, როგორც სომხები. ძნელია, რომელიმე ევროპის საუნივერსიტეტო ქალაქში, ნამეტნავად საფრანგეთში, რამდენიმე ახალგაზდა სომეხი არ იმყოფებოდეს, დიდრონსა და სატახტო ქალაქებში ხომ რამდენიმე ათობითაა არიან. ქ. ნანსსაც მას შემდეგ, რაც მისმა უნივერსიტეტმა საუკეთესო ადგილი დაიჭირა საფრანგეთის უნივერსიტეტებს შორის, სომხების ახალგაზდობაც მიიზიდა. სულ ოთხი თვე არ არის, რაც ნანსის უნივერსიტეტში მხოლოდ 4 სომხის სტუდენტი იყო, დღეს-კი უკვე 11-ია და 4-იც ნანსის სამეურნეო სასწავლებელში (ერთი ქართველი). მათგანი, ზოგი ოსმალეთის ქვეშევრდომნი არიან, ზოგნი რუსეთისა—კავკასიელნი.

ეს ნანსის სომხების პატარა „კოლონია“ და „სომხების საქმე“-ვეა, რომელიც მკითხველს კარგად მოეხსენება; იყვნენ მიზეზნი, რომ ნანსის გეოგრაფიულმა საზოგადოებამ მოიწვია სომხების დიპლომატი და ლიტერატორი ბ. მინას ჩერასი და მოისურვა ცოცხალის სიტყვით მოესმინა ის, რაც გაზეთებიდგან ამოეკითხა „სომხების საქმის“ შესახებ.

ბ. მინას ჩერასი ჯერ კიდევ სულ ახალგაზდა კაცია. იგი ეკუთვნის ოსმალეთის სომხებს. დაბადებულა კონსტანტინეპოლში და იქვე მიუღია სწავლა-განათლება. კალმით ვარჯიშობა ჭაბუკობიდგანვე—18 წლისას, დაუწყვია და მალე სომხის საზოგადოების ყურადღებაც დაუმსახურებია. სწავლის დამთავრების შემდეგ ბ-ნი მინას ჩერასი რამდენიმე ხანს ყოფილა დირექტორად კონსტანტინეპოლის სომხების ცენტრალურ სასწავლებელში, მაგრამ ამ ასპარეზზედ მოღვაწეობა მამულისადმი პატივცემულს პატრიოტს არ ეკმარია და უფრო მძიმე და რთული საქმე უკისრნია თავისს საყვარელ სამშობლოს სახსნელად: 6 წელიწადია (ბ. მინას ჩერასი) დაჰშორებია სამშობლოს და თავდადებით იღწვის მის გარედ. სიტყვით და საქმით იგი აცნობებს ქვეყანას ოსმალეთის მტარვალობას, უსამართლობას და მისგან ტანჯულს სომხეთს. იგი რედაქტორობს გაზეთს „სომხეთს“, რომელიც იბეჭდება ორ ენაზედ: ინგლისურსა და ფრანგულზედ.

ეს არ იკმარა გატაცებულმა მამულიშვილმა და აი, კაი ხანია მოგზაურობს სხვა-და-სხვა საზოგადოებისაგან მიწვეული იმავე აზრით. 30 კონფერენციამდე უკვე ჰქონია ინგლისში და ამ ჟამად-კი საფრანგეთში იმყოფება.

15 მარტს ქ. ნანსში ჰქონდა კონფერენცია. კითხვა განგრძო საათ ნახევარს. ამ მოკლე დროს მიუხედავად ბ. ლექტომა მაინც მოასწრო იმისი თქმა, რაც საჭირო არის ამა თუ იმ ხალხის მოკლედ გასაცნობად ცნობის მოყვარე საზოგადოებისთვის, აუწერა სომხეთის გეოგრაფია, მისი ძველი საზღვრები; აწინდელი მისი განაწილება რუსეთსა, სპარსეთსა და ოსმალეთს შორის,— მისი წარსული და აწინდელი სამწუხარო მდგომარეობა, ჩვეულებანი და ხელოვნება, ძველი და ახალი ლიტერატურა, ხალხური ზეპირ-გარდმოცემანი და მოიყვანა რამდენიმე მათი ნიმუშები და სხ. და სხ. მეტად გატაცებით მოუვიდა დასკვნა, სადაც ორატორმა საზოგადოებას შველა სთხოვა იმ ხალხისა, რომელსაც ჰქონი. თავისი წარსული და მომავალი, რომელიც ღირსია თვით არსებობისაო და ეს შველა არამც თუ ჰუმანიურს გრძნობაზედ დაამყარა, არამედ საზოგადოებას პირად ვალად ჩაუთვალა. „იყო დრო, სთქვა ორატორმა, როდესაც ჩვენც ძალა გვქონდა, მაშინ ჩვენ ვიყავით თქვენი მფარველნი: ჩვენ იმ ხალხთაგანი ვართ, ვინც აზიიდგან თქვენსკენ მომავალს ველურს და ბარბაროსს ხალხს გზაში ვეღობებოდით და თქვენთან შემოსასვლელს კარებში დარაჯად ვიდექით. ჩვენ იქ სისხლსა ვღვრიდით და თქვენ-კი აქ დამშვიდებით ცივილიზაციას ამყარებდით; ჩვენ ისენი ვართ, ვინც თქვენს ჯვაროსნებს (крестоносцы) განსაცდელის დროს მასპინძლობა გავუწიეთ. ჩვენი რამდენიმე ახალგაზდობამ, თქვენის სიყვარულით გატაცებულნი, გერმანიასთან ბრძოლის დროს მოვიდნენ თქვენთან საშველად. ეხლა? ეხლა-კი ჩვენ ძალა გამოგველია, სისუსტემ მტარვალის ყურ-მოჭრილ ყმად გადაგვაქცია და ჩანთქმას გვიპირებს, თქვენ-კი დღეგრძელობით ღონივრები ხართ, მაშ, გვიპატრონეთ, დაგვიფარეთ, მოიგონეთ ის სამსახური, რაც ჩვენ თქვენთვის გაგვიწევია და დაგვიხსენით მტარვალის ხელიდგან, მით უმეტეს რომ ეს უსისხლოდაც შეიძლება და უფრო საყვარელ ერად ეყოლებით სომხებს, ვიდრე ამ ჟამად ჰყევხართ“. ამ სიტყვებით დააბოლოვა ორატორმა კონფედერენცია და გატაცებულმა საზოგადოებამ, რომელიც სულგანაბული ისმენდა ამ სიტყვებს, დიდის ტაშის ცემით დააჯილდოვა.

შემდეგ „ბუნდოვან სურათებით“ (туманныя картины) ბ. მინას ჩერასმა გააცნო საზოგადოებას ჯერ სომხეთის რუკა (ქარტა)—ძველი საზღვრები, შესანიშნავი ადგილები, მონასტრები და ციხეები, მათი არხიტექტურა, რამდენიმე ისტორიული და ახალი გმირები ოსმალეთთან შეტაკების დროს, აწინდელი საზოგადო მოღვაწენი და სხ., რაც მიზანს უახლოვდებოდა.

ბოლოს საზოგადოების თავმჯდომარემ საზოგადოების. მხრივ მადლობა გადუხადა და სთხოვა საზოგადოების კორესპონდენტმა. რაზედაც ბ. მინას ჩერისი დასთანხმდა. მეორე დღეს ბ. მინას ჩერასი ამავე მიზნით მეზობელს ქალაქისკენ გაემგზავრა.

ნიკო ალნიაშვილი.

20 მარტი.
ქ. ნანსი.

## ნარკვევი

—

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გ. ობრუჩევი, რომელიც სულ ამ მოკლე ხანში დაბრუნდა ჩინეთიდგან, ამ ჟამად თავისს შთაბეჭდილებებს

გაზ. „ნოვოსტ“-ში ჰბეჭდავს. ეს შთაბეჭდილებანი არასფერ სასარგებლოს არ აღნიშვნენ ჩინეთის ძლიერების შესახებ და ობრუჩევი ეხლავე დარწმუნებულია, რომ შემდეგშიაც ჩინეთ-იაპონიის ომში გამარჯვებული იაპონია დარჩება: სამხედრო წესწყობილებაში ჩინეთს არავითარი გაუმჯობესება არ ემჩნევა და რომ არც შეიძლება ჩინელებს ამ საქმეში რაიმე წინმსვლელობა დაეტყოთ, ამის დამამტკიცებელ საბუთად ობრუჩევს შემდეგი ხალხური ანდაზა მოჰყავს, რომელიც ამბობს, რომ „კარგ ხალხისაგან ჯარის-კაცები არ გამოჰყავთო“. უთუოდ ამ ანდაზის ბრალი უნდა იყოს, რომ ჯარის კაცებად მიდიან

უკეთესზედ უკარგისნი, უსაქმურნი, შრომის არ მოყვარულნი, რომლებიც ჯარის-კაცობის მცირე ჯამაგირითაც კმაყოფილნი არიანო; რასაკვირველია, ასეთი ჯარის კაცი არასოდეს არ წარმოიდგენს თავისს თავს ზარბაზნის ტყვიის მსხვერპლადაო, ამბობს ობრუჩევი, და ამისთვის იგი მუდამ მზად არის იყაჩაღოს, სძარცოს თავისი და მტრის სოფელი განურჩევლად. როდესაც შემთხვევა მიეცემა იგი კიდეც გაიქცევა ბრძოლის ველიდგან და ომობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი გაურკვეველს და გაჭირვებულს მდგომარეობაშია, მაშინ როდესაც გაქცევა შეუძლებელი-ღაა და ტყვედ წაყვანისაგან კიდევ იმიტომ ეშინიან, კაი თუ დასაჯონ. ზნეობრივად დაცემული და სამხედრო ღირსებებით უკან ჩამორჩენილი ჩინეთის ჯარი მშვიდობიანობის დროს მხოლოდ ნახევარი და ორი მესამედი-ღა ითვლება სამსახურში, ისიც ქაღალდებიდგან, დანარჩენნი სრულიად თავისუფლად ატარებენ დროს, აღარასა სწავლობენ, რაც მეტი არ არის, უფრო ალაჩრებს მათ; წარჩინებულნი უფროსნი იღებენ ჯამაგირს ყველა თავისის ქვეშევრდომებისას, მაგრამ საჭირო რიცხვის ნაცვლად მათ მხოლოდ ორი მესამედი და ნახევარი იმდენი ჰყავთო; ხოლო თუ გასინჯვა მოხდა ჯარებისა, ან საომრად გალაშქრება, მაშინ ესენი ჯარის შესავსებად ვიღაც მაწანწალებსა და დაბრანძებულებსა ჰკრებენ, რომელთაც საჩქაროდ აცმევენ საჯარო ტანისამოსს და იარაღს ასხმენ ხოლმე. რასაკვირველია, ასეთი ჯარი ბევრით უკარგისი და უარესია ვიდრე მუდმივი, რადგანაც შეუძლებელია, რომ მუდმივმა ჯარმა სრულიად არა იცოდეს-რა. მომიხდა ასეთი ამბის ნახვაო, ამბობს ობრუჩევი, რომ იუ-ლინ-ფუში ადგილობრივმა ჯარის უფროსმა ვეღარ შეჰკრიბა საჭირო რიცხვი ჯარისა მაწანწალებსა და დაბრანძულ მაწანწალთა შორის. რადგანაც ეს უბედურება უთუოდ გამოაშკარავებდა მისს ბოროტმოქმედებას, ამიტომ ამ უფროსმა სრულიად დამშვიდებულად გამოიჭრა ყელი და თავისს წინაპართ შეუერთდაო.

ასეთსავე მდგომარეობაში არიან, როგორც ობრუჩევი ამბობს, სხვა სამოქალაქო და საზოგადო დაწესებულებანი ჩინეთში. ყველა ეს არ აძლევდა ნებას ავტორს წერილისას შეედარებინა ერთი მეორესათვის, რადგანაც იაპონია სრულიად სხვაფრივ მიეგება განათლებას და ჩინეთი სხვაფრივ.

# უცხოეთი

—

**გერმანია.** დაშნა, რომელიც იმპერატორმა ვილჰელმმა მისცა საჩუქრად თავადს ბისმარკს, მის დაბადების დღეს, მეტად საუცხოვო და მშვენიერი რამ არის.

ტარი დაშნისა ოქროთია შემკული და ზედ ბისმარკის გერბია ამოჭრილი. აქავეა გამოხატული თვით იმპერატორი ვილჰელმი. დაშნას პირზედ ერთს მხარეს შემდეგი აწერია: „თავადს ბისმარკს, ლაუნბერგის ჰერცოგს, ოთხმოცის წლის დაბადების დღეს“. იმავე გვერდზეა ამოჭრილი გერბი ელზას-ლოტარინგისა, რომელსაც თავს დასტრიალებს გერმანიის იმპერიის არწივი. დაშნის პირის მეორე მხარეზედ შემდეგი წარწერაა ჰოტურის ასოებით: „ჩვენ, გერმანელებს გვეშინიან ღვთისა და სხვა არავისი“.

გარდა ამისა იმპერატორმა აჩუქა თავადს ბისმარკს საწერ მაგიდის მოწყობილება ჯოჯოხეთის ქვისა და ცაფერ ქვისაგან გაკეთებული, რომელიც იმპერატორ ვილჰელმ I-ის სამუშაო მაგიდას ამშვენებდა. როგორც ამბობენ, ბისმარკი ამ საჩუქრით უფრო კმაყოფილი დარჩენილა, ვიდრე ძვირფას დაშნით.

—

**იაპონია.** გაზეთებში შემდეგი დაწვრილებითი ამბავია მოთხრობილი ჩინეთის ელჩის ლი-ხუნგ-ჩანგის მოკვლის განზრახვის შესახებ. ჩინეთის წარმომადგენელი საკაცით სახლში ბრუნდებოდა. ამ დროს ვიღაც უცნობი მოულოდნელად გამოჩნდა და ისეთის სისწრაფით გაექანა ლი-ხუნგ-ჩანგისაკენ, რომ მისმა მხლებლებმა ვერც-კი შეაჩერეს, ხოლო როდესაც მიუახლოვდა, დამბაჩა ესროლა და მერე მშვიდად უცდიდა იმ დროს, როდესაც ჟანდარმები შეიპყრობდნენ. ჩვენების ჩამორთმევის დროს აღიარა, რომ მე მქვიან კოიამა, საშინლათა მძულს ჩინელები და ლი-ხუნგ-ჩანგს იმიტომ ვესროლე დამბაჩა, რომ იმათი წარმომადგენელიაო. პირველად ეგონათ, რომ ლი-ხუნგ-ჩანგს დიდი ჭრილობა არ მიუღია, მაგრამ შემდეგში-კი აღმოჩნდა, რომ ჭრილობა საშიშარია. ტყვია მარცხენა თვალთანა აქვს მოხვედრილი, გაუტეხია ღაწვის ძვალი და ღრმად ჩამჯდარა. რადგანაც ლი-ხუნგ-ჩანგი მოხუცებულია, ჭრილობა მით უფრო საშიშია.

იაპონიის მწერლობა საშინლად ჰკიცხავს ბოროტ-განმზრახველს და ლი-ხუნგ-ჩანგს თანაგრძნობას უცხადებს. ამბობენ, რომ მშვიდობიანობის ჩამოსაგდებათ მოლაპარაკება ამითი არ შეფერხდება, არამედ იაპონელები უფრო დააშურებენ მშვიდობიანობის ჩამოგდებას და მოთხოვნილებათაც შეამცირებენო.

## თეატრი და მუსიკა.

—

უსინათლო პიანისტმა ტიგრანიანმა, რომელმაც სწავლა ვენის უსინათლოთა ინსტიტუტში შეასრულა, 23 მარტს პირველი კონცერტი გამართა სახელმწიფო თეატრში, ვიოლონის დამკვრელის ვასილევისა და ახალგაზრდა ტენორის ვართიკიანის მონაწილეობით. ბ-ნი ტიგრანიანი, მიუხედავად იმისა, რომ ორივე თვალით უსინათლოა, მაინც საუცხოვოდ და ხელოვნურად უკრავს. მეტად მშვენიერად უკრავს ბ-ნი ტიგრანიანი აღმოსავლეთის კილოებს, რომლებსაც იმავ დროს ეროვნების ხასიათი სდევს.

საზოგადოების ყურადღება მიიპყრო აგრეთვე ვიოლონის დამკვრელმა ვასილევმა, რომელიც აღმოსავლეთის კილოებს უკრავდა როიალზედ ხმის შეწყობით (უკრავდა ტიგრანიანი). საზოგადოებამ ხანგრძლივის ტაშის ცემით დააჯილდოვა ვასილევი.

ბ-მა ვართიკიანმა საუცხოვოდ იმღერა: ,,იოთ-ორი‘‘ და ,,ინძ ჰამარჩე“..

## წერილი რედაქციის მიმართ.

—

ჯვალის ამ წლის მე № 13-ში წავიკითხე, სხვათა შორის, ქუთაისიდგან მოწერილი ამბავი შესახებ პატარა ნახატებიან ანბანისა. ეს შენიშვნა, როგორც სჩანს, გამოწვეულია ჩვენის ღირსეულის პედაგოგის ბ. ი. გოგებაშვილისადმი შურისძიებით. ჯვლავაც ბევრჯელ გვსმენია სხვა-და-სხვა ვაჟბატონების სურვილი, რომ დედა-ენის სამაგიეროდ სხვა რომელიმე ანბანი შეადგინონ, მაგრამ ეს სურვილი დღემდე მხოლოდ სურვილად რჩება და დარჩება კიდეც, ვინაიდგან რაც შესადგენი იყო პედაგოგიურად, რომელსაც, რასაკვირველია, თავისი წესები აქვს, დიდი ხანია შედგენილია და სხვა რომელიმე ანბანის შედგენა იქნება მარტო წყლის ნაყვა და სხვა არაფერი.

პატარა ნახატებიანი ანბანი გვინდაო, ბატონებო! განა ცოტა სურათებია დედა-ენის ანბანში, თუ-კა ვინმე გონივრულად შეასწავლის ბავშვებს? ხსენებულ ანბანში მოთავსებული არის ესრედ წოდებული ნორმალური სიტყვები, რომელთ უწინარესაც უნდა შეისწავლონ ბავშვებმა ის სურათები, რომლების სახელწოდებასაც შეადგენენ ისინი.

თუ ბავშვებს მარტო გასართობად უნდათ სურათებიანი წიგნაკი, ამ შემთხვევაშიაც მათს სურვილს ძლიერ ადვილად დააკმაყოფილებს იმავე ავტორის მშვენიერი ქართული ნახატებიანი დედაანი, მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, ,,მიზეზ-მიზეზ, დოს მარილი აკლიაო‘‘.

ტფილისის ერთის სასწავლებლის პედაგოგი.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

21 მარტი.

**პეტერბურგი,** 22 მარტი. ოლგა პალემის საქმის შესახებ სენატმა გააუქმა პეტერბურგის ოლქის სამსჯავროს ნაფიც ვექილთა განჩინება და გადასცა პეტერბურგის სამოსამართლო პალატას ხელ-ახლად გასარჩევად.

პეკინიდგან იუწყებიან, რომ მთავრობამ ბრძანება გასცა ომი შესწყვიტონ. იაპონიასა და ჩინეთს შორის მორიგების იმედი არის, რადგანაც მიკადო კეთილ-განწყობილად შეიქნა ლი-ხუნგ-ჩანგისადმი.

23 მარტი.

**პეტერბურგი,** 23 მარტი. ანიჩკის სასახლეში ხელმწიფემ გაუმართა სადილი გერმანიის გენერალ ადიუტანტს ვერდერს.

ვიატკის გუბერნატორის მოხსენებაზედ, რომელშიაც სწერია, რომ ერობამ დიდი მონაწილეობა მიიღო, რათა გაავრცელოს ხალხში სამეურნეო ცოდნა ხელმწიფემ ინება წაეწერა: «ფრიად სანუგეშოა».

დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძე დაინიშნა უფროსს აფიცრად ჯავშნიან გემზედ—«სისოი დიდი».

სამხედრო მინისტრის ბრძანებით ამიერიდგან აღეკრძალებათ ებრაელთ, მიკიდნენ მადნის წყლებზედ და საზოგადოდ საექიმოდ ყუბანისა, დონისა და თერგის მხარეში.

შემდეგ იმისა, რაც სენატმა დაარღვია განჩინება პალემის საქმისა ბრალდებული ხელახლავ დააპატიმრეს.

**პარიჟი,** 22 მარტი. ბულანჟისტთა დეპუტატებმა სახალხო კრება მოახდინეს და წინაალმდეგობა განაცხადეს იმის შესახებ, რომ საფრანგეთმა მონაწილეობა არ მიიღოს კილის დღესასწაულში.

**ლვოვი,** 22 მარტი. გალიციაში საერთოდ დიდი თოვლი მოვიდა. მიწის მუშაობა შეჩერდა.

**სტამბოლი,** 22 მარტი. ელჩთა კონფერენცია სტამბოლში შესახებ სომეხთა საქმისა არ მოხდება.

**ნიუ-იორკი,** 22 მარტი. კინკსტაუნიდან იუწყებიან, რომ მანსისთან ესპანიის სამხედრო გემმა დააყენა ინგლისის ცეცხლის გემი და გაჩხრიკა.

**სიმონოსეკი,** 22 მარტი. ლი-ხუნგ ჩანგის ჭრილობა კარგად შეელდება. რამდენისამე დღის შემდეგ იგი სრულიად კარგად შეიქნება. მორიგების შესახებ მოლაპარაკება ხელახლავ დაიწყება.

ტფილისის გუბერნიის ყველა მაზრებში 314 სასოფლო საზოგადოება არის. ამ საზოგადოებიდგან 1895 წლამდე სამეურნეო თანხა გაუჩენია 271 საზოგადოებას. შეგროვილი თანხა ეკუთვნის 581,388 სულს ორთავე სქესისას. აქვე მოგვყავს ცხრილი, რომლიდგანაც დავინახავთ, თუ რამდენი თანხა არის შეგროვილი თითოეულს მაზრაში.

| | პურის ხორბალი. | | ფული. | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1) ახალქალაქის მაზრა | 20,703 | ფუთი | 140,261 | მან. | 63 | კ. |
| 2) ახალციხის „ | 19,487 | „ | 32,607 | „ | 82 | „ |
| 3) ბორჩალოს „ | 16,966 | „ | 137,401 | „ | 24 | „ |
| 4) გორის „ | 46,562 | „ | 88,334 | „ | 71 | „ |
| 5) დუშეთის „ | — | „ | 45,679 | „ | 78 | „ |
| 6) სიღნაღის „ | 32,017 | „ | 133,762 | „ | 23 | „ |
| 7) თელავის „ | 7,696 | „ | 47,039 | „ | 91 | „ |
| 8) თიონეთის „ | 5,201 | „ | 20,055 | „ | 99 | „ |
| 9) ტფილისის „ | 41,724 | „ | 84,745 | „ | 34 | „ |
| სულ | 197,556 | „ | 729,888 | „ | 65 | „ |


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათიმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

გ. მ. ჩიქოანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ექიმი მ. ტურბოვიჩი. ქალი ა. 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა.

ი. ფ. ბროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ა. ბ. კარაშვეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

მაქვს ფარჩაზედ დახატული თამარ დედოფლის სურათი ბალიშებისათვის, თითოეული ღირს 2 მანეთი, აგრეთვე ქართველების ყველა გამოჩენილის კაცის სურათი აბრეშუმის ცხვირსახოცზედ. თითო ღირს 60 კ.—1 მან. ხოლო წიგნში ჩასადებ ლენტებზე დახატული 25 კ.—30 კ. თუ ჰსურს გამოიწეროს ვინმემ და ან გადაიხატოს, ამ ადრესით მომმართონ.

ვანქის ქუჩა № 7, სახლი მურადოვისა, ალექსანდრა რადინოვისას.

მოსამზადებელი სასწავლებელი
## ი. პ. როსტომაშვილისა
ამზადებს ყმაწვილებს საშუალო და სხვა სასწავლებლების მოსამზადებელ და პირველ კლასებისათვის.

ფასი სწავლისა 6 მანეთი თვეში.

მოსწავლენი მიიღებიან ყოველ დღე.

სასწავლებელი იმყოფება სალდათის ქუჩაზედ, ივანე ენიკოლოფოვის სახლებში, № 7. ფოსტის ცხენების სადგურის პირდაპირ: противъ Разгонной станціи. უ.

მეფე დავით აღმაშენებელი
## და იმისი დრო
ისტორიული მონოგრაფია
ნ. ურბნელისა
ფასი ორი აბაზი


Дозвено цензурою, Тифлисъ 23 го Марта 1895 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე